საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის

სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტების თემატურ–ტიპოლოგიური გეგმის კართოთეკის შედგენა

თბილისი 1987

F—

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კ.მარქსის სახ.სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

# ბიბლიოთეკის ფონდების
# დაკომპლექტების თემატურ-ტიპოლოგიური გეგმის
# კარტოთეკის შედგენა

თბილისი
1987

025.2

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგენელი მ. ცომაია

რედაქტორი ჯ. თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკის ფონდების დოკუმენტების თემატურ-ტიპოლოგიური გეგმის კარტოთეკის შედგენა: (მეთოდური რეკომენდაციები) // საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპ. ბიბ-კა; შემდგ. მ. ცომაია; რედ. გ. თაყნიაშვილი. -თბ., 1987. -34 გვ.

78.36

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ბიბლიოთეკების მოღვაწეობაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მკითხველებთან მუშაობას. ძირითადი ამ საქმიანობაში ეს არის მკითხველის სულიერი მოთხოვნილებებისა და პროფესიული ინტერესების აქტიური, მიზანდასახული დაკმაყოფილება, დახმარება წიგნის შერჩევასა და გამოყენებაში. ამას ემსახურება წიგნის სისტემატური პროპაგანდა, კითხვის ხელმძღვანელობა და ბიბლიოთეკის მასობრივი მუშაობა.

ჩვენს ბიბლიოთეკებში მკითხველებთან მუშაობა თავისი ამოცანებითა და შინაარსით განუყრელადაა დაკავშირებული განათლების მთელ სისტემასთან და კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდასთან, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლებასთან.

ბიბლიოთეკის ისეთი ფონდების შექმნის ამოცანა, რომელიც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა და მისი მეცნიერულ დონეზე ფორმირება მიეკუთვნება სსრ კავშირში კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს.

ფონდი ბიბლიოთეკის საფუძველია, რის გარეშეც ბიბლიოთეკის არსებობა წარმოუდგენელია.

სახელმწიფო მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების ფორმირება, მისი მართვა დაბალ დონეზე წარმოებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მკითხველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეზე.

ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირების მართვა ცენტრალიზებული ბიბლიოთეკების სისტემაში რთული და საპასუხისმგებლო პროცესია. ეს იმით აიხსნება, რომ ცბს ერთიან ფონდს საკმაოდ რთული სტრუქტურა აქვს. ცენტრალიზაციის პირობებში არა მარტო უნდა დავნერგოთ დაკომპლექტების ერთიანი პოლიტიკა, არამედ უნდა შევინარჩუნოთ სისტემის თითოეული სტრუქტურული დანაყოფის ფონდის ფორმირების სპეციფიკის თავისებურება. ამ ვითარებაში წამოიჭრება იმის აუცილებლობა, რომ გვქონდეს ცბს ფონდის დაკომპლექტების საერთო

F 90.068

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ლიტერატურის ხარისხიანი შერჩევა [illegible] მიზანდასახული განაწილება და განსაზღვროს მთელი ერთიანი ფონდისა [illegible] სტრუქტურული დანაყოფების ფონდების თემატურ-ტიპოლოგიური სტრუქტურა.

დთგ* ერთიანი ფონდის დაკომპლექტების მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას უნდა წარმოადგენდეს. იგი უნდა ქმნიდეს რეგიონის მასშტაბით სრულყოფილი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნის რეალურ წანამძღვარს. გეგმა უნდა ასახავდეს ერთიანი ფონდის დაკომპლექტებისათვის დამახასიათებელ მიმართულებებს და აგრეთვე სხვა სისტემის ბიბლიოთეკებთან კოორდინაციისათვის საჭირო კავშირებს.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის დოკუმენტის Основные направления развития библиотечного дела в стране на 1981-1985 годы и на период до 1990 года -ს საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფუძემდებლურ გადაწყვეტილებებს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების შესახებ, შემუშავებულ უნდა იქნეს საბიბლიოთეკო ფონდის განვითარების კონცეფცია. ასეთი კონცეფციის ძირითადი იდეები გამომდინარეობს იმ საერთო პირობებისა და ანალიზისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებას.

მასობრივი ბიბლიოთეკების ფონდების განვითარების შესაძლო გზების განსაზღვრა ცურდნობა მომავალი ცხოვრების პირობების კომპლექსურ შეფასებას: სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, ტექნიკურ და კულტურულ მიღწევებს. კომპლექსურობის საჭიროება გამომდინარეობს ბევრი ობიექტური დაქტორების სულ უფრო და უფრო მზარდი ზემოქმედებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ ფონდებზე პროგნოზირებული პერიოდის ბოლომდე: მკითხველთა მოთხოვნილებების ზრდა და გართულება; საგამომცემლო და წიგნვაჭრობის პოლიტიკის შეცვლა; დაკომპლექტებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ასიგნებების შესაძლო ცვლილებები; მოსახლეობის თავისუფალი დროის ბიუჯეტის სიდიდე და სტრუქტურა; მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება და პირადი ბიბლიოთეკების განვითარება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკების ფონდების პროგნოზები მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოს ევოლუციის შესახებ არსებულ წარმოდგენაზე და საბოლოო ჯამში საბჭოთა საზოგადოების წინსვლით განვითარებაზე.

---

* აქ და შემდეგ შემოკლებაში იგულისხმება – დაკომპლექტების თემატურ-ტიპოლოგიური გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ცბს ამჟამად არსებული ბიბლიოთეკის ფონდების თემატურ-ტიპოლოგიური სტრუქტურა შექმნილია ცენტრალიზებულ სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების ფონდებისაგან.

როგორც ცნობილია, ცენტრალიზაციამდე და მის შემდეგაც დღემდე, რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკები არ ხელმძღვანელობენ ფონდების ფორმირებას, არა აქვთ ამის გამოცდილება. ისინი მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ საბიბლიოთეკო კოლექტორს გადაურიცხავენ გარკვეულ თანხას, ისე რომ არ უკვეთავენ თავიანთი მკითხველებისათვის საჭირო ცოდნის სხვადასხვა დარგის ლიტერატურას, არ საზღვრავენ ლიტერატურის ტიპებსა და სახეებს, მათ ეგზემპლარობას. ამას[illegible]მასაც თუ დავუმატებთ, რომ თავის მხრივ არც საბიბლიოთეკო კოლექტორი სწავლობს რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების მკითხველთა ინტერესებს, კონტინგენტის შემადგენლობას სათანადო დონეზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების ფონდების დაკომპლექტება სტიქიურად, თვითდინებით წარმოებს. და თუ ფონდების ფორმირება კვლავ ხელმძღვანელობის, დ თ ტ გ შედგენისა და მისი გამოყენების გარეშე გაგრძელდა, აუცილებლად გამოგვრჩება საჭირო თემები და პირიქით, ერთიან ფონდში კვლავ მოხვდება იმ თემებისა და ტიპების ლიტერატურა, რომელიც სულაც არ არის საჭირო გვქონდეს, სხვა კი არ გვქონდეს საჭირო რაოდენობით და ა.შ.

დ თ ტ გ შედგენა დროისა და შრომის ხარჯვას მოითხოვს. ეს ერთ-ერთი არსებითი მიზეზია იმისა, რომ პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ფონდების დ თ ტ დაგეგმვა. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და გამსახკომის 1982 წლის №83 89 ბრძანება და მისი შესაბამისი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და გამსახკომის №628 ერთობლივი ბრძანება მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ც ბ ს დ თ ტ გ 1982 წლისათვის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი დღემდე არ არის შედგენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ საქმეში ბიბლიოთეკებისადმი დახმარების გაწევის მიზნით 1982 წელს სსრ კავშირის ვ.ი.ლენინის სახელობის ბიბლიოთეკამ გამოსცა მეთოდური რეკომენდაციები . Тематико-типологическое планирование фондов Ц Б С ხოლო ლენინგრადის მ.ე.სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკამ 1983 წელს გამოსცა მეცნიერული შრომების კრებული სათაურით Тематико - типологическое моделирование фондов Централизованной библиотечной системы.

მაგრამ იმის გამო, რომ ამ სახელმძღვანელოების ზოგიერთი რეკომენდაცია პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზოგიერთი კი სრულიად მიუღებელია პრაქტიკაში დასანერგად, ამიტომ აზრი არა აქვს მათ ქართულ ენაზე თარგმნას და სახელმძღვანელოდ შემოთავაზებას. ამის გამო ჩვენ შევეცადეთ მათ ნაცვლად შეგვემუშავებინა დ თ ტ გ კარტოთეკის შედგენის მათ მიერ შემოთავაზებულ ხერხზე და მეთოდზე, არც თუ უფრო ძნელი წესი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ხერხი და მეთოდი პირველ რიგში განკუთვნილია ც ბ, საქალაქო ფილიალებისა და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის. მათ სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალების მუშაკებთან შედარებით არ უნდა გაუძნელდეთ ამ მეთოდით დ თ ტ გ შედგენა. ზემოთ თქმულში იგულისხმება, რომ თუ საშუალება იქნება, სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაკებმა საჭირო ცოდნა და ინტერესი გამოავლინეს დ თ ტ გ საკითხებისადმი, უნდა დავეხმაროთ მათ, ხელი შევუწყოთ ამ საქმეში.

სრულყოფილი დ თ ტ გ შედგენამდე აუცილებლად უნდა შევისწავლოთ:

რეგიონის სამეურნეო და კულტურული პროფილი, მისი ზრდის პერსპექტივები;

მკითხველთა შემადგენლობა, მათი ინტერესები და მოთხოვნილებები;

ერთიანი საბიბლიოთეკო ფონდის შემადგენლობა და მისი გამოყენების მდგომარეობა;

სხვადასხვაუწყებრივი ბიბლიოთეკების ფონდების დაკომპლექტებასა და გამოყენებაში კოორდინაციის მდგომარეობა.

აღნიშნული საკითხებიდან აქ მხოლოდ ერთ საკითხს-რეგიონის სამეურნეო და კულტურული პროფილის, მისი ზრდის პერსპექტივების შესწავლის საკითხს შევეხებით შედარებით ვრცლად, რადგანაც დანარჩენი საკითხებისაგან განსხვავებით იგი უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული დ ო ტ გ შედგენასთან. სხვა საკითხების აქ სათანადო მასშტაბით გაშუქება დიდ ადგილს დაიჭერდა.

ბიბლიოთეკის სამომსახურო მიკრორაიონის შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ რეგიონის სახალხო მეურნეობაზე და მოსახლეობის ეროვნული, ასაკობრივი, განათლების, სპეციალობის თუ სხვა ნიშნების მიხედვით საქმიანობაზე.

მიკრორაიონის შესწავლა კამპანიური ხასიათის არ უნდა იყოს. შესწავლის მონაცემებში საჭირო ცვლილებები სისტემატურად უნდა შეგვქონდეს. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მიკრორაიონი საერთოდ არ ყოფილა შესწავლილი, საჭიროა მოეწყოს მისი შესწავლა. მიკრორაიონის შემოვლაში უნდა ჩავაბათ როგორც მკითხველებთან მომუშავე ბიბლიოთეკარები, ისე დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილების მუშაკებიც. მართალია, ადგილებზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში აქვთ სია იმ წარმოება-დაწესებულებებისა, რომლებიც განლაგებულია მოცემულ რეგიონში, მაგრამ მისი გადაწერით არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ. იმისათვის, რომ მომსახურებული წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაციების მოთხოვნილება ჩვენთვის ნათელი იყოს და მაღალ დონეზე ვაწარმოოთ საბიბლიოთეკო მომსახურება, საჭიროა არამარტო პროფილისა და მოთხოვნილებების ზოგადი ცოდნა, არამედ დეტალური წარმოდგენა მათზე, მაგალითად: კონკრეტული ცბს ან ფილიალის სამომსახურო მიკრორაიონში შეიძლება ორი ან მეტი ტიპის ქარხანა იყოს. ამ საწარმოების პროფილი მათი სახელწოდებიდანაც გასაგებია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქარხნებს ერთი და იგივე მოწყობილობა-დანადგარები ექნება. ამ ქარხნებიდან ერთს შეიძლება უახლესი სამამულო ან უცხოური მოწყობილობა ჰქონდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეს კი ჩამორჩენილი, ძველი. და თუ ამ ქარხნებში სწორედ ისეთი მდგომარეობაა როგორის სავარაუდო მაგალითიც ჩვენ მოვიყვანეთ, მაშინ თავისთავად იგულისხმება, რომ წარმოების ტექნოლოგიური პროცესებიც სხვადასხვა იქნება. ერთიცა და მეორეც, ე.ი. მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვაობა უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ამ საწარმოებისათვის საჭირო თემის ლიტერატურის შეძენის დაგეგმვისას. საჭირო თემის ლიტერატურის შეძენის უფრო ზუსტად დაგეგმვისათვის აუცილებელი იქნება იმისი ცოდნაც, თუ ეს ქარხნები რა მარკის ღვინოებს აწარმოებენ.

დავუშვათ, რომ მიკრორაიონების შემოვლის შედეგად დადგინდა-რეგიონში სულ არის 100 ტრაქტორი. მაგრამ მარტო ამ მონაცემით ვერ დავგეგმავთ დიფერენცირებულად რეგიონის საჭიროების შესაბამის ლიტერატურას. იმისათვის, რომ დიფერენცირებულად დავგეგმოთ ტრაქტორების შესახებ შესაძენი ლიტერატურა, უნდა დავადგინოთ, თუ რა მარკის ტრაქტორებია ისინი. მათთვის საჭირო ლიტერატურის შეძენის დაგეგმვა არც მაშინ იქნება სრული და ზუსტი, თუ აგრეთვე არ დავადგინეთ რა სახისა და მარკის მისაბმელები აქვთ ან ჭირდება ტრაქტორებს.

ზუსტად დაგეგმვისათვის არ იკმარებს ვიცოდეთ მხოლოდ ის, რომ რეგიონის ამდენ სკოლაში ესა და ეს უცხო ენა ისწავლება, არამედ უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, თუ რამდენი მოსწავლე სწავლობს ამა და ამ ენას და თანაც უნდა ვიცოდეთ მათი რაოდენობა კლასების მიხედვით. თავისთავად იგულისხმება-იმისათვის, რომ ზუსტად დავგეგმოთ მათთვის შესაძენი ლიტერატურის რაოდენობა, სახე და ტიპი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სკოლის ბიბლიოთეკების არსებობა, მათი შესაძლებლობანი, ფუნქციონირების დონე.

ის, რომ მკითხველთა კონტინგენტის შემადგენლობის კარტოთეკაში გვიწერია პედაგოგების საერთო რაოდენობა ან უბრალოდ მათი გვარების დასახელება, არ კმარა მათთვის საჭირო ლიტერატურის შეძენის ზუსტად დაგეგმვისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზუსტად დაგეგმვისათვის საჭირო კლასების მიხედვით საგნების რაოდენობის ცოდნაც.

თბილისის გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის პროფილი მისსავე სახელწოდებაშია, მაგრამ განა ამის ცოდნა იკმარებს ლიტერატურაზე მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მსხვილი და არა მარტო მსხვილი საწარმოები, ეს ქარხანაც უშვებს მილიონობით მანეთის ღირებულების საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს, ამის გათვალისწინება კი აუცილებელია.

რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი თუ გვიწერია ბარათზე პროფილის კარტოთეკაში, ეს ცნობა აბსოლუტურად არაფერს არ ეტყვის დ ო ტ გ შემდგენელს იმის თაობაზე, თუ რა თემის ლიტერატურის შეძენა ივარაუდოს. ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში შეიძლება შედიოდეს ღვინის სახდელი და კირის გამოსაწვავი ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა ან საამქრო და სამკერვალო სახელოსნოები, ან სახარაზო და კიდევ მრავალი სხვა დარგის საწარმო.

რეგიონის პროფილის შესწავლა მკითხველთა ინტერესების შესწავლის საფუძველია, მათი დიფერენცირებული მომსახურებისათვის საჭირო წყაროა.

„დებულებაში სსრ კავშირში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" მე-5 მუხლში აღნიშნულია: „სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო ახორციელებს ბიბლიოთეკების საერთო მეთოდურ ხელმძღვანელობას და მათი მუშაობის კოორდინაციას, მიუხედავად დაქვემდებარებისა, სახელმწიფო კონტროლს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გამგებლობაში მყოფი ბიბლიოთეკების საქმიანობისადმი, აგრეთვე წყვეტს სხვა საკითხებს საბიბლიოთეკო საქმის დარგში ამ დებულებისა და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად". ეს უფლება ავალდებულებს ცბს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი სისტემის პრინციპის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველზე უნივერსალური რაიონის (ქალაქის) ყველა ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტების კოორდინაციასა და კოოპერირებას. სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკები პროფკავშირულ ბიბლიოთეკებთან ძირითადად კოორდინაციასა და კოოპერირებას ახდენენ სპეციალისტებისათვის განკუთვნილ საწარმოო ლიტერატურაზე. სკოლის ბიბლიოთეკებთან კი პედაგოგებისათვის განკუთვნილ სამეცნიერო და მეთოდურ, 1-8 კლასელ მოსწავლეებისა და პიონერხელმძღვანელებისათვის, განკუთვნილ ლიტერატურაზე.

ცბს ერთიანი ფონდის დ თ ტ ზ შედგენა მისი სტრუქტურული დანაყოფების-ცბ, ბიბლიოთეკა ფილიალების-დ თ ტ ზ საფუძველზე. მათი შეერთებით ხდება. თვით ცბს და ცბ სტრუქტურული დანაყოფების ფონდების დ თ ტ ზ კი მათი სამსახურის მიკრორაიონის სახალხო სამეურნეო და კულტურული პროფილის ანუ მკითხველთა შემადგენლობისა და მათი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ლიტერატურით უზრუნველყოფის გათვალისწინების საფუძველზე უნდა შედგეს.

მეთოდური მითითებების რეკომენდაციებით ცბს ერთიანი ფონდის დ თ. ტ ზ მოიცავდეს იქნება იმავე ელემენტებს, რომლებსაც მოიცავს ცბს ცალკე აღებული სტრუქტურული დანაყოფის გეგმა. სახელდობრ:

ბბკ ინდექსს,

თემის დასახელებას,

გამოცემის ტიპებს,

შესაძენად ნავარაუდევ ეგზემპლარების მაჩვენებელს, კონკრეტული თემებისა და ტიპების მიხედვით, ენის განმსაზღვრელის ჩვენებით.

სსრ კავშირის ვ.ი.ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის მეთოდურ სახელმძღვანელოში ასეა ნათქვამი: იმისათვის, რომ დ თ ტ ზ მაკეტზე მუშაობა მოხერხებული იყოს, მიზანშეწონილია ვაწარმოოთ იგი ცხრილის სახით გრაფებში. და მოჰყავთ ნიმუში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თ ე მ ა | გამოცემის ტიპი | ცბ და ბიბლიოთეკა-ფილიალების ნიშნები და მათ. შიკვ. ლიტ. | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3..... |
| 2 | 3 | 4 | | |
| I. მარქსიზმ-ლენინიზმი | | | | |
| მარქსიზმ-ლენინიზმი-სამყაროს გარდამქმნელი მოძღვრება | 01,03, 04, 09,14 | . | . | . |
| მარქსიზმ-ლენინიზმი და თანამედროვე ეპოქა | 01,03, 04 | . | . | . |
| თანამედროვე ბურჟუაზიული და რევიზიონისტული ფალსიფიკატორების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკა | 03,04, 14 | . | . | . |
| . . . . . . . . . . . . . . | . . . | . | . | . |
| . . . . . . . . . . . . . . | . . . | . | . | . |
| . . . . . . . . . . . . . . | . . . | . | . | . |

მაგრამ თუ დავუკვირდებით პირიქით, გამოიდ ფურცელზე, ასეთი სახით მაკეტის შედგენა არ იქნება საბოლოოდ მოხერხებული, ვინაიდან შესწორების ან დამატების შეტანა სხვადასხვა უჯრედებთან იქნება დაკავშირებული ან საერთოდ შეუძლებელი იქნება. მაგალითად: თუ დაგვჭირდა, ეს კი არც თუ იშვიათად იქნება საჭირო, მაკეტში დავუმატოთ ახალი თემები, მაშინ მაკეტში ვერ შევიტანთ, ვერ ჩავწერთ ვერც ერთ დამატებას- ბბკ ინდექსს, თემის სახელწოდებას, შესაბამისი ტიპებისა და ცბს სტრუქტურულ დანაყოფებზე ლიტერატურის განაწილების მაჩვენებელს ენის განმსაზღვრელიანად.

დ ო ტ გ საკატალოგო ბარათებზე კარტოთეკის სახითაც ადგენენ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კარტოთეკის სახით შედგენილი გეგმა უფრო მოხერხებული იქნება, ყოველგვარი შესწორება-დამატება უფრო ადვილი შესატანი იქნება. ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ ბარათული წესით შედგენილ გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაში თუ შეიძლება მოხერხდეს იმ რეკომენდებული იდეის განხორციელება, რომელიც გვირჩევს დ თ ტ გ გაშლილ ფურცელზე შევადგინოთ. მაგალითად: იმის გამო, რომ ბიბლიოთეკის ფონდის შემადგენლობის თემატურ-ტიპოლოგიური მოდელის მესამე გრაფაში მოცემულია გამოცემის ტიპების ერთზე მეტი განმსაზღვრელი, რომელიც ხშირად ათსაც კი აჭარბებს, მეოთხე გრაფაში შეუძლებელია ჩავწეროთ და გავარკვიოთ მესამე გრაფიდან თუ რომელი ტიპის ლიტერატურა გვინდა ცბ და ცბს ამა თუ იმ სტრუქტურული დანაყოფისათვის. ამის საშუალება კი მოგვეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, და ეს ასედაც უნდა გავაკეთოთ, თუ ერთი და იგივე თემის ლიტერატურის სხვადასხვა ტიპისათვის ცალ-ცალკე ბარათს შევადგენთ. ასე, მაგალითად: ლიტერატურა თემაზე „შრომა სსრ კავშირში“ შეიძლება ექვსი ტიპის იყოს. ესენია-მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, სკკპ ხელმძღვანელების ნაწარმოებები, ოფიციალურ-დოკუმენტური გამოცემები, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები ბავშვებისა და მოზარდებისათვის, გამოცემები პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული აქტივისათვის, ენციკლოპედიური და საცნობარო გამოცემები. მათთვის ბარათები ასე უნდა შევადგინოთ და განვალაგოთ. (იკითხება ქვევიდან ზევით).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| სსკ ინდექსი | | თემა | გამო-ცემის ტიპი |
|---|---|---|---|
| 65.9(2)24 | შრომა სსრ კავშირში | | 12 |
| | | | |

| სსკ ინდექსი | | თემა | გამო-ცემის ტიპი |
|---|---|---|---|
| 65.9(2)24 | შრომა სსრ კავშირში | | 10A |
| | | | |

| სსკ ინდექსი | | თემა | გამო-ცემის ტიპი |
|---|---|---|---|
| 65.9(2)24 | შრომა სსრ კავშირში | | 04Д |
| | | | |

| სსკ ინდექსი | | თემა | გამო-ცემის ტიპი |
|---|---|---|---|
| 65.9(2)24 | შრომა სსრ კავშირში | | 04 |
| | | | |

| სსკ ინდექსი | | თემა | გამო-ცემის ტიპი |
|---|---|---|---|
| 65.9(2)24 | შრომა სსრ კავშირში | | 02 |
| | | | |
| | | | |
| | | | |

| სსკ ინდექსი | | თემა | გამო-ცემის ტიპი |
|---|---|---|---|
| 65.9(2)24 | შრომა სსრ კავშირში | | 01 |
| | | | |
| | | | |

ადვილი შესამჩნევია, რომ ბარათები განლაგებულია თემის ტიპის განმსაზღვრელების რიგზე. ეს გარკვეულ წესრიგს ამყარებს კარტოთეკაში ერთი და იგივე ინდექსიანი ბარათების განლაგების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, გამოცემის ტიპებისა და სახეების აღსანიშნავად იხმარება ასეთი განმსაზღვრელები:

01-მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების, სკკპ ხელმძღვანელების ნაწარმოებები, სკკპ დოკუმენტები;

02-ოფიციალური-დოკუმენტური გამოცემები;

03-სამეცნიერო ლიტერატურა;

04-სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა;

04Д-სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისა და მოზარდებისათვის;

05-სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები საშუალო სკოლისათვის;

06-პტს და საწარმოებში მასობრივი პროფესიის კადრების მომზადებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები;

07-სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები ტექნიკუმებისათვის;

08-სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის;

09-სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები პოლიტგანათლების ქსელისათვის;

10A -გამოცემები პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული აქტივისათვის;

10 -საწარმოო ლიტერატურა მასობრივი პროფესიის კადრებისათვის;

11 -საწარმოო ლიტერატურა სპეციალისტებისათვის;

12 -ენციკლოპედიები და საცნობარო ლიტერატურა;

12Д-ენციკლოპედიები და საცნობარო ლიტერატურა ბავშვებისა და მოზარდებისათვის;

14-ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები;

 ეროვნული ბიბლიოთეკა

15- ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები ბავშვებისა და მოზარდებისათვის;

16- რეპროდუქციები, ღია ბარათები;

17- დიაფილმები, სლაიდები;

18- ხმაჩაწერილი მასალები-ფირფიტები, ლენტები;

19- ნოტები;

20- რუკები;

დ ო ტ გ ბარათული წესით შედგენისას ჩვენი რეკომენდაციის თანახმად უნდა ვისარგებლოთ შეერთებული კატალოგის ბადურიანი ბარათებით. ბარათის წინა მხარეს, რომელიც საერთოდ ბიბლიოგრაფიული აღწერილობისათვის არის განკუთვნილი, გაშლილ ფურცელზე შედგენილი ნიგნისაგან განსხვავებით, მხოლოდ პირველი სამი ელემენტის მოთავსება შეგვიძლია და ეს სრულიად საკმარისი იქნება.

მაგალითად:

| ბბკ ინდექსი | | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 1 | მა | რქსიზმ-ლენინიზმი და | |
| | | თანამედროვე ეპოქა | 01 |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | 0 | |

მეოთხე ელემენტის გრაფაში ჩასაწერი მონაცემებისათვის უნდა გამოვიყენოთ იმავე ბარათის მეორე მხარის უჯრედები, სადაც ჩვეულებრივ ცბ განყოფილებებსა და ტომებზე განაწილებული წიგნების რაოდენობას ვწერთ. ამჯერად კი იქ უნდა ჩავწეროთ შესაძენად ნავარაუდევი, შერჩეული თემის წიგნის რაოდენობა ენის განმსაზღვრელთან ასე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქI, რI, სI, აზ. I | 2. ქ2, რI | 3. აზ2 | 4. ქI | 5. რI | 6. Iს | 7. უI | 8. და | 9. ას | 10. შ. |
| 11. | 12. | 13. | 14. | 15. | 16. | 17. | 18. | 19. | 20. |
| 21. | 22. | 23. | 24. | 25. | 26. | 27. | 28. | 29. | 30. |
| 31. | 32. | 33. | 34. | 35. | 36. | 37. | 38. | 39. | 40. |
| 41. | 42. | 43. | 44. | 45. | 46. | 47. | 48. | 49. | 50. |
| 51. | 52. | 53. | 54. | 55. | 56. | 57. | 58. | 59. | 60. |
| ბ3. ქ2 | სდ. ქI | ბგ. | მგ. | თდგ. | მგ. | ეო-ფზ. | | | |

იმ შემთხვევაში, როცა ცბ განყოფილებებისა და ცბს სტრუქტურული დანაყოფების ნომრებთან ერთად სამ ან მეტ ენაზე შეკვეთილი წიგნების რაოდენობის მაჩვენებელი ენის განმსაზღვრელიანად არ ჩაეტევა უჯრაში, ჩვეულებრივი საკატალოგო ბარათი უნდა დავხაზოთ საჭირო სიდიდის უჯრებად. იმის გამო, რომ უჯრების სიდიდე გაიზრდება, ცბს სტრუქტურული დანაყოფებისათვის განკუთვნილი უჯრების რაოდენობა მეორე გვერდზე შეიძლება არ დაგვეტიოს, ასეთ შემთხვევაში უჯრებად უნდა დავყოთ ჩვეულებრივი საკატალოგო ბარათის პირველი გვერდის ის თავისუფალი ადგილი, რომელიც ყოველთვის დაგვრჩება ბბკ ინდექსის, თემის დასახელებისა და გამოცემის ტიპის მაჩვენებლების ჩაწერის შემდეგ. რა თქმა უნდა, უჯრების ნუმერაცია პირველი გვერდიდან უნდა დავიწყოთ.

| [illegible] ინდექსი 1 | მარ[illegible] | თემა [illegible] | | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 ყ.1, ჰ.2, | 2 [illegible] 1 | ყ1 | 3 | 4 [illegible] 1 |
| ს.1, [illegible] 1, ყ.1 | | | | |
| 5 ყ.1, ჰ1, | 6 | | 7 ყ1 | 8 ს.2 |
| ყ1 | | | | |
| 9 | 10 ყ1 | ჰ1, ს.1. | 11 | 12 ყ2, [illegible] 1, ს1, |
| | [illegible] 1, | ყ1 | | [illegible] 1, ყ1 |
| 13 | 14 | | 15 ს1, [illegible] 1, ყ1 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ თ ტ გ ბარათული კარტოთეკის წესით წარმოებისას მისი ანალიზისა-თვის-შესრულებული შეკვეთების კარტოთეკის შედგენისათვის, არ დაგვჭირდება შესაბამისი ბარათის ახლად შედგენა, გადაწერა კარტოთეკისათვის როგორც ეს მოგვიხდებოდა გაგვეკეთებინა დ თ ტ გ გაშლილ ფურცელზე, წარმოების დროს. დ თ ტ გ ბარათული წესით წარმოებისას კი დ თ ტ გ კარტოთეკიდან უბრალოდ ამოვიღებთ იმ თემის ბარათებს, რომელთა შეკვეთებიც შესრულებულია, და შევადგენთ შესრულებული შეკვეთების კარტოთეკას.

იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკის მუშაკები გადაწყვეტენ, რომ ანალიზისათვის საჭირო იქნება რეგიონის ძირითად ენასა და სხვა ენებზე შეკვეთილი და შემოსული წიგნების რაოდენობის ჯამი აღვნუსხოთ, ეს უკეთესი იქნება გავაკეთოთ შესაბამისი ბარათის მეორე მხარეს თავისუფალ ადგილზე. მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა ბარათის მეორე მხარეს არ იქნება, მაშინ აღნიშვნები შეიძლება ბარათის პირველ გვერდზე გაკეთდეს ასე: ქ.21, რ.13, ს3, აზ.2, უI. შემოკლებები ნიშნავს: ქ-ქართული, რ-რუსული, ს-სომხური, აზ-აზერბაიჯანული, უ-უცხოური. ენებისა და ეგზემპლარების რაოდენობის მაჩვენებლების ეს თანმიმდევრობა ალბათ, სასურველი იქნება დაცული იქნეს ყოველთვის.

ეგზემპლარობის განსაზღვრა სერიოზული და რთული საქმეა და მეტად დიდი მნიშვნელობაც აქვს. მისი განსაზღვრის მზამზარეული რეცეპტები არ არსებობს. იგი დამოკიდებულია ბიბლიოთეკის მუშაობის კონკრეტულ პირობებზე, თემის აქტუალობაზე, ამა თუ იმ ტიპის გამოცემის თავისებურებაზე. ეგზემპლარობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ მკითხველთა პროფესიულ და ეროვნულ შემადგენლობას, განსაზღვრული სახეების გამოცემების ფაქტიურ გამოყენებას, ბიბლიოთეკის ფინანსურ შესაძლებლობას და აგრეთვე ცბს ერთიანი ფონდიდან საჭირო წიგნის მიღების შესაძლებლობას.

გამოცემის ეგზემპლარობა ცბ, რომელსაც აქვს აბონემენტი, სამკითხველო დარბაზი, უფრო მეტი იქნება საჭირო ვიდრე ფილიალებში. აქტუალური ლიტერატურა, რომელიც მკითხველთა ფართო წრისათვის არის საინტერესო,

F 90.068
3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიძლება შეძენილ იქნეს საკმარისი რაოდენობით არა მარტო ცბ, არამედ ფილიალებისთვისაც.

დ თ ტ გ გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაკლები მოთხოვნილების, ვიწრო თემების წიგნებიც. მათი შეძენა უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ერთიანი ფონდის ორგანიზაციისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ისეთი რაოდენობით, რომ შესაძლებელი იყოს ფილიალების მკითხველთა შესაძლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ერთი დანაყოფის ფარგლებში (იგულისხმება ბბკ დანაყოფი) ცალკეული თემების გამოცემების ეგზემპლარობა, ერთნაირი არ იქნება.

საცნობარო ლიტერატურა ცბ უნდა შევიძინოთ 2-3 ეგზემპლარად. ფილიალებში კი საკმარისი იქნება თითო ეგზემპლარი. ეგზემპლარობის განსაზღვრის სისწორე მოწმდება მკითხველთა მომსახურების პროცესში, საბიბლიოთეკო ფონდის გამოყენების შესწავლის დროს, რის შემდეგაც ლთგგ უნდა შევიტანოთ შესწორებები, ვაწარმოოთ ე.წ. მეორადი შერჩევა.

ლთგგ მომზადების პერიოდში მისი სისავსის საკითხებზე სასარგებლოა მივიღოთ კონსულტაცია პარტიის რაიონული კომიტეტის, რაიაღმასკომის, ასკ, რაიონის წამყვანი სპეციალისტებისაგან. ეს საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ ლთგგ შემავალი თემატური კომპლექსების შინაარსი. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თემებს, რომელთა ცბს ლთგგ შეტანა უნდაგანხორციელდეს რაიონის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. უნდა მივაღწიოთ ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც ფილიალები ოპერატიულად მიაწვდიან ცნობებს ცბ მომსახურებელ მიკრორაიონის მეურნეობის პროფილში ცვლილებების შესახებ, რომელიც იწვევს თემების შესაბამისად დაზუსტების აუცილებლობას. მაგალითად: ფილიალის სამომსახურო მიკრორაიონში დაიხურა ღვინის ქარხანა და მის ნაცვლად გაიხსნა ხილის წვენების ქარხანა. ცნობა ამ ცვლილების შესახებ უნდა გადაეცეს დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილებას და ლთგგ შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი შესწორებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა მოთხოვნილებების ხასიათის შესაბამისად თემების ერთ-ერთ საფეხურის დეტალიზაციის განსაზღვრა მოითხოვს დარგობრივ ლიტერატურაზე მკითხველთა ინტერესების ყოველდღიურ, სისტემატურ შესწავლას. ცბ პირობებში ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ მუშაკმა, რომელიც მკითხველთა მომსახურებას ეწევა აბონემენტზე, სამკითხველო დარბაზში, არასტაციონარში, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში და სხვ. ამიტომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ სათანადო მონაცემების შეგროვების მოწესრიგებასა და მათ ცბ დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილებაზე გადაცემის ორგანიზაციაზე. ფილიალებში მკითხველთა თემატური მოთხოვნილებების კარტოთეკის წარმოების ყველაზე უფრო ადვილი და მოხერხებული ხერხი შეიძლება იყოს ცალკეულ ბარათზე იმ თემის აღნუსხვა და შემდეგ დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილებაზე გადაცემა, რომელზედაც განსაკუთრებით ხშირად ითხოვენ მკითხველები ლიტერატურას. ამ ბარათებზე უნდა გაკეთდეს პირობითი წარწერები: „წიგნი არ არის", „წიგნი ცოტაა", „წიგნები არის, მაგრამ მოძველებულია" და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ფილიალის ნომერი და თარიღი.

იმ შემთხვევაში, როცა ქვეთ დთგ წინასწარ შედგენილი კარტოთეკა და თანაც იმდენი, რომ თითო-თითო ეგზემპლარი შეიძლება დაეგზავნოს ცბ და ცბს ყველა სტრუქტურულ დანაყოფს, მაშინ მასზე მუშაობა ერთდროულად ხდება. ასე იმ მიზნით კეთდება, რომ ბიბლიოთეკარებს საშუალება ქონდეთ შეადარონ კარტოთეკა თავიანთ ფონდებს და მათს გამოყენებას, მკითხველთა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების მონაცემებს და შეიტანონ მასში შესაბამისი დაზუსტებანი და დამატებები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ფილიალების დთგ კარტოთეკით ერთდროულად უზრუნველყოფა არ ხერხდება, მაშინ ერთი ან რამოდენიმე კარტოთეკა მორიგეობით უნდა ვასარგებლოთ მათ. ამისათვის წინასწარ ადგენენ კარტოთეკით სარგებლობის გრაფიკს, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს თითეული სტრუქტურული ქვედანაყოფის შესაძლებლობანი და თავისებურებები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დთტგ კარტოთეკის შემუშავებისა და დაზუსტების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ დარგობრივი ლიტერატურის თემების ფორმულირებასა და გამოცემის ტიპების ცბს წინაშე მდგარ ამოცანებთან, მკითხველთა მოთხოვნილებებთან მაქსიმალურად მიახლოებას. ამისათვის უნდა უზრუნველვყოთ: ა) მკითხველთა თემატური მოთხოვნილებების მონაცემების სისტემატური შეგროვება და ანალიზი; ბ) ცბს შემავალი ყველა ბიბლიოთეკის მუშაკებისა და მკითხველების რაც შეიძლება ფართოდ მოზიდვა კონსულტანტებად და ექსპერტებად იმ თემების ფორმულირებისა და გამოცემების ტიპების დასაზუსტებლად, რომელთა შესახებ წიგნები ხელს შეუწყობდნენ ბიბლიოთეკების ეფექტურ მუშაობას მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

ბბკ ცხრილები, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სამუშაო ცხრილებს, რომლებიც შემუშავებული გვაქვს დროთა განმავლობაში ლიტერატურის კლასიფიკაციის პერიოდში, ერთგვარი ორიენტირი იქნება თემების შერჩევის საქმეში.

რაც უფრო დაწვრილებით და გულმოდგინედ ვადგენთ დთტგ, რაც უფრო აქტიურად მიიღებენ მასში მონაწილეობას ცბს ბიბლიოთეკარები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მით უფრო დასაბუთებული იქნება გადაწყვეტილება ლიტერატურის შერჩევისა და შეძენის შესახებ. საყურადღებოა ის, რომ კარტოთეკის შევსების ეტაპზე მკითხველებთან მომუშავე ბიბლიოთეკარებს შეუძლიათ და უნდა წამოაყენონ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე წინადადებები ერთიან ფონდში ლიტერატურის განაწილების შესახებ. ეს დაგვეხმარება ცბს ერთიანი ფონდის შიგნით ფილიალების წინადადებების შესაბამისად დარგობრივი ლიტერატურის თემატურ-ტიპოლოგიური შემადგენლობის მიხედვით განაწილებაში.

ფილიალებში კარტოთეკაზე მუშაობის დროს მიზანშეწონილია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ კერძო თემების წრეს, რომელთა დთტგ შეტანა უნდა განვახორციელოთ დარგობრივ ლიტერატურაზე მკითხველთა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნილებების ხასიათის მიხედვით. ამისათვის საჭირო იქნება ფონდ-ების ფონდების შემადგენლობისა და გამოყენების, მკითხველთა დაკმაყოფილებელი მოთხოვნილებების (მათ შორის უარების კარტოთეკის) ანალიზის გაკეთება.

მას შემდეგ, რაც ფილიალებში შევსებული დოტგ ეგზემპლარი (ან ერთი საერთო ეგზემპლარი, რომლის ბაზაზეც ნავარაუდევია შემდგომი მუშაობა ცბს ყველა ფილიალში) ცბ შემოვა, იწყება შეკრებილ მონაცემებზე მუშაობა მათი განზოგადებისა და დაზუსტების მიზნით. ამ მუშაობის ჩატარებისათვის უმჯობესია მიზანშეწონილია ვაწარმოოთ ცბ დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომელთა ძალებით. შემდეგ კი დოტგ ეს ვარიანტი განხილულ უნდა იქნეს ცბს ყველა თანამშრომლის თანდასწრებით. განხილვის დროს იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება დოტგ შედგენის პროცესში, შეაქვთ აუცილებელი დაზუსტებანი. ერთდროულად უსტდება მონაცემები – წიგნების რაოდენობა, რომელიც საჭიროა იყოს ცბს ფონდებში ყოველი თემისა და გამოცემის ტიპის მიხედვით. ამისათვის უნდა განისაზღვროს სისტემის ყველა დანაყოფისათვის აუცილებელი სახელწოდების რაოდენობა და მათი ეგზემპლარობა. რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მკითხველთა არსებული და პროგნოზირებული მოთხოვნილებების ხასიათი.

დოტგ შედგენის დამამთავრებელი ეტაპია მომზადებული ვარიანტის დაკომპლექტების საბჭოზე, ცბს საბიბლიოთეკო საბჭოზე განხილვა. ასეთი განხილვის დროს საჭიროა შევჩერდეთ ფონდის ყველა განყოფილებაზე, დამსწრეთა ყურადღება მივაქციოთ მათი თემატურ-ტიპოლოგიური სისრულისა და სისტემის დანაყოფებში განაწილების რთულ სადისკუსიო საკითხებს.

დოტგ დამტკიცების შემდეგ კარტოთეკას შეიძლება შევუდაროთ რეგიონის სხვა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკების დოტგ რეგიონის ერთიანი საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ფონდის კოორდინირების მიზნით.

დაკომპლექტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დთეგ სისტემატურად ივსება ახალი თემებით,შეაქვთ კორექტივები და ზუსტდება გამოყენების პროცესში. იმის გამო,რომ დთეგ სისტემატურად ივსება ახალი თემებით,უნდა შევიტანოთ ხოლმე კორექტივები, ვაზუსტებთ გამოყენების პროცესში, ამიტომ უნდა გავიმეოროთ, რომ უფრო მიზანშეწონილია ვაწარმოოთ იგი ბარათული წესით,სადაც გაცილებით ადვილია ყოველგვარი შესწორება-დამატების შეტანა.

თუ დავთქვით და ვამჯობინეთ,რომ დთეგ ბარათული წესით ვაწარმოოთ და თანაც ზემოთ დასახელებულ მეთოდურ სახელმძღვანელოებში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად კი არა, არამედ ჩვენს მიერ შემოთავაზებული წესის მიხედვით,ცებს ამა თუ იმ სტრუქტურული დანაყოფის დთეგ შემადგენლობის დადგენა უნდა დავიწყოთ ბბკ ცხრილების სისტემატურ კატალოგთან შეჯერებით. მაგრამ იმ ბიბლიოთეკებში,სადაც სისტემატური კატალოგი დიდი ხნის აწყობილია,უშუალოდ შეჯერების დაწყებამდე ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ მოვახდინოთ მათი რედაქტირება. რედაქტირების მიზანი უნდა იყოს სისტემატური კატალოგის ინდექსებისა და შესაბამისი რუბრიკების სიზუსტის დადგენა,იმის დაზუსტება,თუ რამდენად სწორად არის კლასიფიცირებული ლიტერატურა და სხვ მუშაობის, ე.ი. შეჯერების გაიოლების მიზნით უნდა დავადგინოთ, ხომ არ შეიძლება სისტემატური კატალოგის რომელიმე დანაყოფი კიდევ უფრო დავანაწევროთ. იმ შემთხვევაში,თუ აღმოჩნდება,რომ ამის საჭიროება არის,უნდა გამოვყოთ ახალი რუბრიკები.მართალია მასობრივი ბიბლიოთეკების ფონდები ახლად არის კლასიფიცირებული ბბკ ცხრილების მიხედვით,და ამასთან დაკავშირებით გაიწმინდა ფონდები არაპროფილური და შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურისაგან,მაგრამ კარგი იქნება კიდევ ერთხელ რომ გადავათვალიეროთ ბარათები.

ძირითადად დთეგ შედგენის ჩვენს მიერ რეკომენდირებული პროცესი პრინციპში ისეთივეა,როგორიცაა სსრ კავშირის ვ.ი.ლენინის სახ.ბიბლიოთეკის მეთოდური რეკომენდაციის პრინციპი.იგი იმაში გამოიხატება,რომ ბიბლიოთეკისათვის საჭირო და სასურველი თემისა და ტიპის ლიტერატურის შერჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის მიზნით, ერთმანეთს უნდა შევაჯეროთ სისტემატური კატალოგი [illegible] წყარო, რომლიდანაც უნდა ავარჩიოთ წიგნობრივი ფონდისათვის აუცილებელი და სასურველი თემის ლიტერატურა. ჩვენს შემთხვევაში ეს წყარო იქნება ბბკ ცხრილები, ხოლო ზემოთ ნახსენებ მეთოდური სახელმძღვანელოს რეკომენდაციებით მათ მიერ შედგენილი მოდელი. მაგრამ იმის გამო, რომ როგორც უკვე ვთქვით, ამ მოდელში სანახევროდაც კი არ არის რეკომენდებული იმ თემების ლიტერატურა, რომელიც მოცემულია ბბკ ცხრილებში, ამიტომ მისი გამოყენება, პროპაგანდა არ შეიძლება. განსხვავება კი იმაშია, რომ ვ.ი.ლენინის სახ. ბიბლიოთეკის მეთოდურ რეკომენდაციაში, მოდელში ბიბლიოთეკებისათვის რეკომენდებული თემები უკვე შერჩეულია და თავმოყრილია შესაბამის ინდექსთან, შერჩეულია აგრეთვე და იქვეა მინიშნებული შესაძენად გათვალისწინებული ლიტერატურის ტიპებიც. ეს გარემოება მართალია, აიოლებს ბიბლიოთეკარის მუშაობას, მაგრამ ამავე დროს მოდელის მზამზარეული მონაცემები თითქოს ზღუდავს ბიბლიოთეკარს თემების შერჩევის საქმეში. ხოლო ის გარემოება, რომ მოდელში სანახევროდაც არ არის მოცემული ბბკ ცხრილების თემები და არც სხვა ისეთი რეკომენდაციაა მოცემული, რომელიც ბიძგს მისცემდა ბიბლიოთეკარს ინიციატივა გამოეჩინა, დამოუკიდებლად ემოქმედა თემების შერჩევის საქმეში, უკრძალავს მას ასეთ საქმიანობას.

წინამდებარე მეთოდური წერილი კი რეკომენდაციას იძლევა ბიბლიოთეკარებმა თვითონ შეარჩიონ ბბკ ცხრილების ინდექსების რუბრიკებიდან და მათი შინაარსიდან ბიბლიოთეკებისათვის საჭირო თემის ლიტერატურა და განსაზღვრონ მისი ტიპებიც.

შეჯერება კი ასე უნდა ვაწარმოოთ: მაგალითად გვინდა დავადგინოთ რა გვაქვს და რა არა ბიბლიოთეკაში ბბკ ინდექსი 39.33-08 მიხედვით. ამისათვის უნდა გავეცნოთ ამ ინდექსის შინაარსს ბბკ ცხრილებში, რომელიც მოცემულია შესაბამისი რუბრიკის ქვეშ წვრილი შრიფტით. გაცნობისას ვნახავთ, რომ მასში ასეთი საკითხებია მოცემული: ავტომანქანის მართვა, ავტომანქანის მართვის უშიშროება. ავტომანქანის საწვავი, საზეთი მასალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვ. ამის შემდეგ უნდა წავიკითხოთ, გავყვნოთ სისტემატური კატალოგის შესაბამის განყოფში ჩართულ ბარათებს, აღწერილობებს. იმ შემთხვევაში თუ შეჯერების შედეგად აღმოჩნდება, რომ შინაარსში მოცემული თემებიდან სისტემატური კატალოგის შესაბამის დანაყოფში არა გვაქვს ბარათი, ე.ი. არა გვაქვს რომელიმე თემის ამსახველი ლიტერატურა, მაშინ უნდა შევადგინოთ დტგ კარტოთეკის ბარათი ამ თემაზე. მაგალითად, შეჯერების დროს დავადგინეთ, რომ სისტემატურ კატალოგში არ აღმოჩნდა აღწერილობა თემაზე – ავტომანქანის მართვის უშიშროება. ასეთ შემთხვევაში დტგ კარტოთეკისათვის უნდა შევადგინოთ ბარათი ასეთი ფორმის:

| ესკ ინდექსი | თემა | გამოცემის წელი |
|---|---|---|
| 39.33-08 | ავტომანქანის მართვის უშიშროება | 04 |

და ჩავრთოთ იგი კარტოთეკაში პირველ გრაფაში მოცემული ინდექსის მიხედვით. როგორც აღვნიშნეთ, ბარათის მეორე მხარეს ბადურაში უნდა ჩავწეროთ, თუ ცბ, ცბს რომელ სტრუქტურულ დანაყოფს რომელ ენაზე და რამდენი წიგნი უნდა. პირველ გრაფაში ბბკ ინდექსის ჩვენება იმსათვის არის საჭირო, რომ დტგ კარტოთეკა ინდექსების მიხედვით სისტემატური წესით უნდა გვქონდეს აწყობილი და არა თემების ანბანის მიხედვით. გამოცემის ტიპი კი იმიტომ არის განსაზღვრული სამეცნიერო პოპულარულით, რომ ამ თემაზე არც მეცნიერული და არც სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის წიგნი არ იწერება. არ იცემა ამ ვიწრო თემაზე ცალკე აგრეთვე სახელმძღვანელოები უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლისათვის. მაგრამ თუ შევცდებით იმაში, რომ ამ თემაზე ასეთი ხასიათის წიგნებიც იცემა, სულ ერთია, არ მოგვიწევს დტგ კარტოთეკისათვის ასეთი ტიპის ლიტერატურაზე ბარათის შედგენა, რადგანაც ის არაპროფილური იქნება მასობრივი ბიბლიოთეკისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გარემოება,რომ ბიბლიოთეკარებს რჩევას ვაძლევთ თვითონ აირჩიონ ბბკ ცხრილებიდან მათი პროფილის,მათთვის აუცილებელი და სასურველი თემები,მათ უფრო მეტი არჩევანის საშუალებას აძლევს. ისიც უნდა აღვნიშნოთ,რომ მოდელში ძალიან ხშირად თემა ბბკ ცხრილებისაგან განსხვავებით სხვანაირად არის ფორმულირებული,რაც ხელს უშლის ბბკ ცხრილებისა და ანბანურ-საგნობრივი საძიებლის ფორმულირებებს მიჩვეულ ბიბლიოთეკის მუშაკებს თემების ფორმულირებაში.მაგალითად:ბბკ საგნობრივ საძიებელში ასეა ფორმულირებული თემა კომუნისტური მოძრაობის შესახებ-Коммунистическое международное движение და ეს სწორი ფორმაა,ხოლო მოდელში იგივე თემა ფორმულირებულია ასე: Международное коммунистическое движение, რაც არ არის უკეთესი და სწორი ფორმა,რადგანაც იგი არ იწყება თემის სახელწოდების საწყისი სიტყვით "Коммунистическое-ით".

მოხდება ისე,რომ ბბკ ცხრილების სისტემატური კატალოგის შესაბამის დანაყოფთან შეჯერებისას აღწერილობების სათაურიდან და სათაურთან დაკავშირებული ცნობებიდან ვერ დავადგენთ შესაბამისი წიგნის თემას.ასეთი შემთხვევა ხშირი იქნება სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში,ვინაიდან, მიღებულია,რომ მკითხველთა ინტერესის აღძვრის,დაინტერესების,ან სხვა რაიმე მიზეზის გამო,სამეცნიერო-პოპულარული წიგნის სათაურში ხშირად არ არის მოცემული წიგნის თემის სახელწოდება.მაგალითად:ე.მელიქიშვილის წიგნის აღწერილობიდან „საოცრებანი ჩვენს ირგვლივ",რომელშიც არ არის შინაარსი გახსნილი,ვერ დავადგენთ წიგნის თემას.წიგნის შინაარსი კი ასტრონომიის საკითხებს ეხება.

გაცილებით ნაკლები ან სულ არ იქნება ასეთი შემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში, მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში,რომელთა სათაურებში პირდაპირ,ზუსტად არის ხოლმე მოცემული წიგნის თემა.უფრო მეტიც: სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში განსაზღვრულია ხოლმე წიგნის ტიპიც. ამის მაგალითად გამოგვადგება ი.ფ.პოლაკის წიგნის აღწერილობა,რომელშიც მოცემულია როგორც წიგნის თემა,ისე მისი ტიპიც.-ი.ფ.პოლაკი.ზოგადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტრონომიის კურსი: [სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის]. ასეთ შემთხვევაში თაროს გარეშე შეგვიძლია შევავსოთ დტგ კარტოთეკის ბარათი, თუ რა თქმა უნდა, ეს წიგნი პროფილური ბიბლიოთეკისათვის და საჭიროც არის.

პირველ მაგალითში იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რა თემას იხილავს წიგნი, უნდა მივმართოთ წიგნს თაროზე და დავადგინოთ მისი თემა.

მას შემდეგ, როცა დავადგენთ თემას, უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება ავსახოთ თუ არა ეს თემა დტგ კარტოთეკაში. დტგ კარტოთეკაში ამა თუ იმ თემის ასახვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად არის მოცემული ესა თუ ის პროფილური თემა სისტემატური კატალოგის შესაბამის დანაყოფებში და როგორ აკმაყოფილებს იგი მკითხველთა მოთხოვნებს, ან თუ საერთოდ არა გვაქვს, რამდენი გვჭირდება იგი.

ამ წესით, დაწყებული ბბკ ცხრილების I განყოფილება მარქსიზმ-ლენინიზმიდან, დამთავრებული უნივერსალური შინაარსის ლიტერატურის განყოფილების ჩათვლით, უნდა შევადაროთ და შევისწავლოთ რა გვაქვს და რა გვჭირდება ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი ვრცელი, ყოვლისმომცველი და შინაარსით ღრმა დტგ შეიძლება იყოს მხოლოდ პერსპექტიული გეგმა. პერსპექტიული იქნება იგი თუნდაც იმიტომაც, რომ ერთ ან ორ წელიწადში ვერ გამოიცემა ყველა იმ თემის წიგნი, რომელიც ჩვენ გვჭირდება. მაგრამ დტგ კარტოთეკა შეგვიძლია და უნდა გამოვიყენოთ კიდევაც მიმდინარე დაკომპლექტების საქმეში, ვინაიდან მიმდინარე დაკომპლექტება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პერსპექტიული გეგმის ნაწილია. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მოკლედ ვილაპარაკოთ დტგ მიმდინარე დაკომპლექტებაში გამოყენების შესახებ.

როგორც ცნობილია, საგამომცემლო გეგმები იგება თემატური. მაგალითად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ასე აქვს ხოლმე თემატურად დაყოფილი თავისი გამოსაცემად ნავარაუდევი პროდუქცია-ისტორიულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამრეწველო-ტექნიკური,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სხვ. მართალია, საგამომცემლო გეგმაში თემების ასეთი კომპლექსირება, თავმოყრა არ დაემთხვევა დტგ კარტოთეკაში მიღებული თემების კომპლექსირებას, რომელიც ბბკ ცხრილების მიხედვით გვაქვს აგებული, მაგრამ მაინც შეუძლია მას გარკვეული დახმარება გაუწიოს ბიბლიოთეკებს იმის დადგენაში, თუ დტგ კარტოთეკაში ბიბლიოთეკისათვის შესაძენად საჭირო თემაზე რა გამოდის გამოსადეგი რამე. ამ მხრივ უფრო დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საკავშირო გამომცემლობების საგამომცემლო თემატურ გეგმებს, ვინაიდან მათს საგამომცემლო გეგმებში მიღებული თემების კომპლექსირება ხშირად დაემთხვევა კარტოთეკაში მიღებული კომპლექსირების პრინციპს. მაგალითად: გამომცემლობა „აგროპრომიზდატის" საგამომცემლო გეგმაში ასეა კომპლექსირებული თემები: სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი. ამ განყოფილების სახელწოდება, შინაარსი ზოგიერთი შემოკლებით დაემთხვევა ბბკ და დტგ კარტოთეკის შესაბამისი დანაყოფის სახელწოდებას. ზუსტად დაემთხვევა საგამომცემლო თემატური გეგმის შემდეგი დანაყოფის სახელწოდება ბბკ და დტგ კარტოთეკის შესაბამის სათაურებს. ბბკ და დტგ კარტოთეკის დანაყოფი 40-ის რუბრიკა და საგამომცემლო თემატური გეგმის ქვესათაური ზუსტად დაემთხვევა ერთმანეთს. ეს იქნება-სოფლის მეურნეობის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და ტექნიკური საფუძვლები. ასევე დაემთხვევა საგამომცემლო გეგმის სათაურები-მემცენარეობა, მეცხოველეობა და ზოგიერთი სხვა სათაური. ამ სათაურების ზოგიერთი ქვესათაური ზუსტად დაემთხვევა. მაგალითად; ეს იქნება ქვესათაური-მემცენარეობის ბიოლოგიური საფუძვლები, კერძო მემცენარეობა, მემინდვრეობა, ზოგადი მეცხოველეობა, მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლები, ცხოველების კვება და შენახვა და სხვ. ბბკ, დტგ კარტოთეკისა და საგამომცემლო თემატური გეგმის სტრუქტურების მეტნაკლებად დამთხვევას სხვა საგამომცემლო თემატურ გეგმებშიც იქნება ადგილი. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გამოიყენონ ბიბლიოთეკარებმა, იგი შეუმსუბუქებს მათ შრომას. ასეთ და იმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემთხვევაშიც,როდესაც ერთმანეთს არ დაემთხვევა ზუსტად დტგ კარტოთეკისა და საგამომცემლო თემატური გეგმის სტრუქტურები,დანაყოფების სახელწოდებები,მაშინაც კი შეიძლება დტგ კარტოთეკაში და საგამომცემლო თემატურ გეგმაში ისეთი ქვედანაყოფების ბოვნა,რომლებიც შინაარსით მაინც დაემთხვევა ერთმანეთს.მაგალითად: დტგ კარტოთეკისა და თემატური გეგმის დანაყოფების არც სტრუქტურა,არც ქვედანაყოფების სახელწოდებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მანქანათმშენებლობის საგამომცემლო თემატურ გეგმაში არის ქვედანაყოფი შედუღება, ჭრა, დადუღება,რჩილვა, მოქლონვა, შეწებება,რომლის შინაარსი ემთხვევა ბბკ ცხრილებისა და ე.ი.დტგ კარტოთეკის შესაბამისი დანაყოფის შინაარსაც.ეს ქვედანაყოფია 30.61 რუბრიკით-ცალკეული ტექნოლოგიური პროცესები.

რამდენადაც ყველა საგამომცემლო თემატურ გეგმაში უსათუოდ და მკაცრად არის ხოლმე განსაზღვრული თითოეული წიგნის მკითხველებრივი დანიშნულება,იგი დიდ დახმარებას გაგვიწევს ლიტერატურის ტიპების განსაზღვრაში.ასე რომ,იმის დასადგენად ოცემა თუ არა ჩვენთვის საჭირო და სასურველი თემის ლიტერატურა საგამომცემლო თემატური გეგმების მიხედვით,საჭიროა ერთმანეთს შევაჯეროთ დტგ კარტოთეკა და საგამომცემლო თემატური გეგმები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა აღმოვაჩენთ, რომ საგამომცემლო თემატური გეგმით ნავარაუდევია გამოვიდეს ჩვენთვის საჭირო და სასურველი თემის ლიტერატურა, მაშინ დტგ კარტოთეკიდან უნდა ამოვილოთ შესაბამისი თემის ბარათები და ისინი განვალაგოთ ავტორის ან სათაურის ანბანზე და თვალყური ვადევნოთ მათს გამოსვლას. შესაბამისი თემის ლიტერატურის ბიბლიოთეკაში მიღების შემდეგ ბარათები ისევ ისეთი თანმიმდევრობით უნდა გავაწყოთ, როგორი თანმიმდევრობითაც გვაქვს გაწყობილი დტგ კარტოთეკა, მაგრამ ცალკე. იგი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც შესრულებული შეკვეთების კარტოთეკა და ცაწარმოოთ სხვადასხვა სახის ანალიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ბბკ ცხრილების რუბრიკისა და მისი შინაარსის სისტემატურ კატალოგთან შეჯერების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ბბკ ცხრილების შინაარსში ხშირად მოცემულია მითითება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის საკითხი, თემა იმ დანაყოფში, რომელსაც სისტემატურ კატალოგთან ვაჯერებთ, აისახება განმეორებით ასახვის მეთოდით. ასეთი თემები უნდა ავსახოთ შესაბამის დანაყოფში და არა იმაში, რომელსაც ამ მომენტში ვაჯერებთ. მაგალითად: დანაყოფის ,,13.23 კ.მარქსი და ფ.ენგელსი–მარქსიზმის თეორიის ფუძემდებლები" შეჯერებისას ვნახავთ, რომ შინაარსში მითითებულია: ამ ინდექსის ქვეშ თავს იყრის აგრეთვე ლიტერატურა–კ.მარქსი და ფ.ენგელსი როგორც მარქსიზმისა და მისი შემადგენელი ნაწილების თეორიის ფუძემდებლებზე კლასიფიკაციის შესაბამისი დანაყოფიდან განმეორებით ასახვით, ე.ი. თემები დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსის პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრება და მეცნიერული სოციალიზმი უნდა ავსახოთ შესაბამისად 15, 65.11 და 66.017 დანაყოფებში.

რა თქმა უნდა, იმავე დანაყოფის შინაარსის თემატიკაში აისახება ის თემა, რომელზეც ბბკ ცხრილების დანაყოფის შინაარსში ნათქვამია, რომ ამ დანაყოფის ინდექსის ქვეშ თავს იყრის აგრეთვე ამა და ამ თემის ლიტერატურა. მაგალითად, ინდექსი 32.87, რომლის რუბრიკაა ელექტრო აკუსტიკა", შინაარსში ნათქვამია, რომ 32.87 ინდექსის ქვეშ თავს იყრის აგრეთვე ლიტერატურა ტექნიკურ აკუსტიკაზე. ბიბლიოთეკარების ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ ასეთ შემთხვევაში ლაპარაკი არ არის განმეორებით ასახვაზე, არამედ მიგვითითებენ, შეგვახსენებენ, რომ ამა და ამ ადგილას უნდა აისახოს ესა და ის თემაც.

ბბკ ცხრილების მიხედვით აწყობილ სისტემატურ კატალოგთან ბბკ ცხრილების შეჯერებისას აღმოჩნდება, რომ კატალოგში არ არის ცალკე გამოყოფილი ესა თუ ის დარგი, ქვედარგი. ასეთ შემთხვევაში თითქოს თავისთავად იგულისხმება, რომ იმ დანაყოფის ლიტერატურა, რომელთა აღწერილობები არა გვაქვს კატალოგში ცალკე გამოყოფილი, ბიბლიოთეკისათვის არაპროფილურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიტომ უნდა გამოვტოვოთ, არ ვეძებოთ ამ დანაყოფში პროფილური თემები. მაგრამ შემოწმება აუცილებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხომ არის შემთხვევები, როდესაც მიუხედავად ჩვენი მეცადინეობისა ბიბლიოთეკის პროფილის საჭირო ლიტერატურა ვერ შეგვიძენია, ბიბლიოთეკაში ვერ მოხვდა და ამიტომ მისი არც აღწერილობა გვაქვს. მეორე, არის ისეთი შემთხვევაც, როცა ბბკ ცხრილების დანაყოფის შესაბამისი გამყოფი სისტემატურ კატალოგში არა გვაქვს იმიტომ კი არა, რომ ამ დარგის ლიტერატურა არა პროფილურია ან არა გვაქვს საერთოდ, არამედ იმიტომ, რომ ამ დარგის ლიტერატურა ცოტა გვაქვს ბიბლიოთეკაში და ამიტომ მათი აღწერილობები ჩართული გვაქვს იმ ზოგად ნაწილში, დანაყოფში, რომლის ქვედანაყოფსაც განეკუთვნება იგი.

ორივე შემთხვევაში სისტემატური კატალოგის ზოგად ნაწილში ბბკ ცხრილების შინაარსით უნდა შევამოწმოთ ბბკ ცხრილების შესაჯერებელი ზოგადი ნაწილისა და მისი ყველა ქვედანაყოფის პროფილური თემებიდან რა გვაქვს და რა გვჭირდება.

რესპუბლიკაში სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება ისეთი სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდეთ კლასიფიცირებული ბბკ ცხრილებით და მისი მიხედვით აწყობილი კატალოგი, მაგრამ აქ მაინც უსათუოდ უნდა ვილაპარაკოთ იმ თავისებურებებზე, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა სისტემის ძველი საკლასიფიკაციო ცხრილების მიხედვით აწყობილ სისტემატურ კატალოგთან ბბკ ცხრილების შეჯერებაზე. შეჯერების ეს წესი გამოადგებათ მუშაობაში იმ მასობრივ ბიბლიოთეკებს, რომელთა ჯერ კიდევ არ გადაუყვანიათ თავიანთი ფონდები და კატალოგები ბბკ ცხრილებზე, სხვა უწყებისა და სისტემის მასობრივ და ზოგიერთ სხვა ტიპის ბიბლიოთეკებს, კერძოდ, იმ ბიბლიოთეკებს, რომელთაც მიუხედავად თავისი ტიპისა, ფონდების გადასამუშავებლად ყოფნით მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილი ბბკ ცხრილები.

ძველი ინდექსებით აწყობილ სისტემატურ კატალოგთან მუშაობისას ორი სხვადასხვა სტრუქტურის ცხრილების განსხვავებული ნიშნის, შინაარსისა

და რიგის მქონე ინდექსების შეჯერება მოგვიხდება. შეჯერებისას უნდა მივსდიოთ ბბკ ცხრილების თანმიმდევრობას. ბბკ ცხრილების დანაყოფების შინაარსი უნდა შევაჯეროთ, ძველი სისტემატური კატალოგის შესაბამის დანაყოფს, მის შინაარსს, დავადგინოთ მათი რუბრიკებისა და შინაარსის იდენტურობა, ერთგვარობა და განსხვავება. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ ძველი სისტემატური კატალოგისაგან განსხვავებით ბბკ ცხრილებში ერთი ინდექსის ქვეშ უფრო მეტი თემაა დასახელებული, მაშინ ისინი უნდა აღვნუსხოთ, ავსახოთ დუბლ კარტოთეკაში, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ეს განსხვავებული თემა ან თემები პროფილურია მოცემული ბიბლიოთეკისათვის. მაგალითად: მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილ ძველ საკლასიფიკაციო ცხრილებში ინდექს 631.4 ქვეშ მხოლოდ ერთი ზოგადი თემა „ნიადაგმცოდნეობაა" მოცემული. ეს მაშინ, როცა ბბკ ცხრილების შესაბამისი ინდექსის (40.3) ქვეშ მოცემულია თემები: ნიადაგის წარმოქმნა, ნიადაგის წარმოქმნის პროცესები, ნიადაგის თავისებურებები, ნიადაგის აგებულება და შემადგენლობა, ნიადაგის ნაყოფიერება, ნიადაგის მიკრობიოლოგია, ეკოლოგია, გეოგრაფია, კარტოგრაფია, ნიადაგის დაცვა.

ან ავიღოთ ძველი საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების 6 2 ენერგეტიკის განყოფილება და ბბკ ცხრილების ამავე სახელწოდების 31.2 დანაყოფი. პირველს მხოლოდ ოცამდე დანაყოფი აქვს, მეორეს კი–80. განსხვავება ნათლად ჩანს. ხაჭირო თემები ასახულ უნდა იქნეს სათანადოდ დუბლ კარტოთეკაში, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ძველ სისტემატურ კატალოგში ისეთი თემები აღმოჩნდება, რომლებიც არ არის ბბკ ცხრილების იმ დანაყოფში, რომელსაც ვაჯერებთ, ძველ კატალოგთან, ან თუ გადატანილია ბბკ სხვა დანაყოფში და ამის შემდეგ აღვნუსხოთ, ავსახოთ დუბლ კარტოთეკის შესაბამის დანაყოფში. მაგალითად: ძველი საკლასიფიკაციო ცხრილების მე-5 განყოფილებაში მოცემულია თემა მათემატიკის სწავლების მეთოდიკის შესახებ ინდექსით 51(07). ბბკ ცხრილებში კი არც მათემატიკის განყოფილებაში (22.1) და არც მის ქვედანაყოფებში მათემატიკის სწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლების მეთოდიკაზე, არაფერი არ არის ნათქვამი. კიდევ უფრო მეტიც, არ არის მითითებული თუ სად, რომელ დანაყოფში უნდა ვეძიოთ იგი. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა კი ბბკ ცხრილებში გადატანილია 74.262 დანაყოფში, რომლის რუბრიკაა „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა". ასეთ შემთხვევაში უნდა შევადგინოთ დტგ კარტოთეკის ბარათი მათემატიკის სწავლების მეთოდიკაზე ასეთი შინაარსით: „74.262 მათემატიკის სწავლების მეთოდიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში" და ვიქონიოთ დტგ კარტოთეკაში ჩასართავად ცალკე, იმ დრომდე, სანამ მივალთ შესაბამის დანაყოფამდე -74.262. მაგრამ ეს წესი სულაც არ არის ისეთი ხელშეუვალი, რომ არ შეიძლებოდეს ამ თემებისათვის წინასწარ შევადგინოთ შესაბამისი გამყოფი და ჩავრთოთ მასში. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ იქნება შემთხვევა, როცა ესა თუ ის თემა ფორმულირებულია სხვანაირად, ახლებურად. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ახალი ფორმულირებით უნდა ავსახოთ ისინი დტგ კარტოთეკაში. მაგალითად: ძველი საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილებში 33C რუბრიკა იყო „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა". მისი შესაბამისი რუბრიკა ბბკ ცხრილებში ფორმულირებულია ახლებურად - „სსრ კავშირის ეკონომიკა", ინდექსი კი 65.9(2). ასე რომ დტგ კარტოთეკის ბარათი ამ უკანასკნელი ფორმულირებით უნდა გვქონდეს.

• • •

იმის გამო, რომ დტგ კარტოთეკის შედგენის ჩვენ მიერ შემოთავაზებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტექნიკა ან პროცესი ჯერ არსად არ არის გამოცდილი და დანერგილი, ამიტომ მისი გამოცდისა და დანერგვის პირველი ცდები ექსპერიმენტული ხასიათის იქნება და განიხილება, როგორც ექსპერიმენტი. ამის გამო ბიბლიოთეკის მუშაკებმა უფრო გაბედულად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. ყოველგვარი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება ჩვენგან უზრუნველყოფილი იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

• • •

შენიშვნები, დამატებები და წინადადებები გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მისამართით: 380007. თბილისი, კეცხოველის 5. საქ. სსრ კ.მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო – მეთოდური განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოყენებული ლიტერატურა

Организация работы централизованной библиотечной системы:Инструкции и учет.формы.- 2-е изд., испр.и доп./Под ред. Р.З.Зотовой.- М.: Книга, 1985.-192 с.

Панина Е. Аглавное осталось в стороне // Библиотекарь.-1983.- №7.- с.53-54.

Тематико-типологическое моделирование фондов ЦБС: Сборник научных трудов / Гос.Публ. Б-к им. М.Е.Салтыкова-Щедрина; Сост. Д.В. Евсеев; Научн. ред. Н.А.Ефимова.-Л., 1983.- 152 с.

Тематико-типологическое планирование фондов ЦБС: Метод.рекомендации / Гос, б-ка СССР им. В.И.Ленина. Науч. метод. отд., сост, В.Н.Акимова; Ред. В.И.Зотова.-М.: 1982.- 103 с.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ГРБ Грузинской ССР им. К.Маркса

Составление картотеки тематико-типологического плана комплектования библиотечных фондов

МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ

(На грузинском языке)

Составитель М.Цомая

Редактор Г.Такиашвили

| | |
|---|---|
| ტირაჟი | Тираж 400 |
| სააღრ.საგამ.თაბ. | Усл.печ.л. |
| შეკვეთა | Заказ 355 |
| ფასი | Бепл. |
| | УЭ 11143 |

Тбилиси

1987

1,50 

n 157/675

F 90.068/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა